საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 138 2019 წლის 10 მაისი ქ. თბილისი

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში საქართველოს მონაწილეობის მიღებასა და შესაბამისი აპლიკაციის მომზადებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

1. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში საქართველოს მონაწილეობის მიღებასთან და შესაბამისი აპლიკაციის მომზადებასთან დაკავშირებით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი (შემდგომში – ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი - ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი;

გ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელი;

დ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი;

ე) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი.

2. ეთხოვოს საქართველოს ეროვნულ ბანკს სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მიღება.

3. დაევალოთ სამინისტროებს, ამ ბრძანების გამოცემიდან 1 დღის ვადაში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოადგინონ ინფორმაცია თავიანთი კანდიდატების შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში საქართველოს მონაწილეობის მიღებასა და აპლიკაციის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამუშაო ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

მამუკა ბახტაძე